საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი, 2021 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/02

„სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის №04-01/11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ქ.ვაჩეიშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის №04-01/11 დადგენილებაში და დადგენილების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საშემსრულებლო მიმართულებით ხელმძღვანელის დატვირთვა შეადგენს:
- საბაკალავრო ნაშრომისათვის - 15 (თხუთმეტი) საათი1 (ერთ) სტუდენტზე;
- არქიტექტურის სპეციალობაზე - 20 (ოცი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე;
- სამსახიობო სპეციალობაზე - 100 საათი ჯგუფზე;
- სამაგისტრო ნაშრომისათვის - 40 (ორმოცი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე.“

2. ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**